მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №74
2022 წლის 07 ნოემბერი
ქ. მარტვილი

,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,,მარტვილი-საქართველოსთვის“ რეგისტრაციის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,,მარტვილი-საქართველოსთვის“ რეგისტრაციის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №57 განკარგულებაში და განკარგულების 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,1. ცნობად იქნეს მიღებული მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,,მარტვილი-საქართველოსთვის“ რეგისტრაციის საკითხი (2021 წლის 3 დეკემბრიდან), 2022 წლის 13 ოქტომბრიდან ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულია **აკაკი ხუნწელია**, ხოლო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ **გიორგი ხორავა.“.**

2. მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2022 წლის 13 ოქტომბრიდან.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა